საქართველოს სახალხო დამცველის საინფორმაციო ბიულეტენი

№9 პერიოდული გამოცემა
2014 წ. ოქტომბერი

გამოცემულია ევროკავშირის პროექტის „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა" მხარდაჭერით

1. სახალხო დამცველის მისალმება

საქართველოს სახალხო დამცველი
უჩა ნანუაშვილი

17 ოქტომბერს ილიას უნივერსიტეტში ახალგაზრდა ქალი ყოფილმა მეუღლემ სიცოცხლეს გამოასალმა. როგორც აღმოჩნდა, ამ ტრაგიკულ დღემდე რამდენიმე ხნით ადრე, მან დახმარების თხოვნით სამართალდამცავ ორგანოებს მიმართა, თუმცა, უშედეგოდ. სამართლიანად არ მეჩვენება ამ პრობლემაზე პასუხისმგებლობა მხოლოდ ერთ კონკრეტულ უწყებას დავაკისრო. ქალთა მკვლელობების გახშირებული ფაქტები მთელი საზოგადოების პრობლემაა, რომელთან გამკლავება ვერ შევძელით. ჩვენ, ყველამ ერთად, ვერ დავიცავით ქალების სიცოცხლე და ჯანმრთელობა ლამბალოში, დვაბზუში, თბილისში, ზესტაფონში, ქობულეთში და კიდევ ბევრ ადგილას. ბოლო ექვსი თვის მანძილზე ოჯახში ძალადობის საფუძველზე 20-ზე მეტი ქალი მოკლეს. ამ საშიში ტენდენციის მასშტაბები საგანგაშოა და ხელისუფლების ორგანოებს გადამჭრელი ზომების მიღება მართებთ.

პირველად, სახალხო დამცველად ჩემი არჩევის შემდგომ, მივმართე საქართველოს პარლამენტს განსაკუთრებული მსჯელობის საგნად ექცია ფემიციდი, მოეწვია მთავრობის შესაბამისი წარმომადგენლები და ემსჯელათ მიზეზებზე, დასახულიყო მოქმედების ერთიანი ეროვნული სტრატეგია. სამწუხაროდ, ჩემ საგანგებო მიმართვაზე გამოხმაურება დღემდე არ მიმიღია. მიუხედავად ცალკეული სტრუქტურების მიერ სხვადასხვა აქტივობების განხორციელებისა, აშკარაა, რომ ძალადობის ამ ტალღის წინააღმდეგ ბრძოლაში არ გვაქვს ერთიანი ხედვა. ჯერ კიდევ მაისში შევთავაზე მთავრობას შეემუშავებინა ქალთა ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია, თუმცა პროცესი გაჭიანურდა. იმედი მაქვს, რომ ამჯერად მაინც მთავრობა პრობლემის აღიარებიდან

შინაარსი:

1. სახალხო დამცველის მისალმება 1
2. მთავარი თემა 2
3. სახალხო დამცველის რეკომენდაციები სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს 4
4. სახალხო დამცველის წინადადებები სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს 6
5. სახალხო დამცველის საკანონმდებლო ინიციატივები 7
6. წარმატებული საქმეები 7
7. გასული თვის მოვლენები 7
8. სახალხო დამცველის აპარატის ცალკეული სამსახურების პერიოდული საქმიანობა 10
9. სხვა სიახლეები 11
10. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით 13
11. ღირსშესანიშნავი თარიღები 14
12. სახალხო დამცველის აპარატის ამბები 15
13. კონტაქტი 15

ქმედით ნაბიჯებზე გადავა, რაშიც დიდი საზოგადოებრივი მხარდაჭერა ექნება.

არატოლერანტულობის, შეზღუდვის, რელიგიური გრძნობების შელახვის მხრივ არც ოქტომბერი იყო გამონაკლისი. ადიგენის რაიონის სოფელ მოხეში ყოფილი მეჩეთის დემონტაჟი ისე დაიწყო, რომ ადგილობრივი მუსლიმი მოსახლეობის პროტესტისთვის ხელისუფლებას ყურადღება არ მიუქცევია. შედეგად, კიდევ ერთი კონფლიქტი მივიღეთ, რომლის თავიდან აცილება მარტივად შეიძლებოდა.

შეუძლებელია ვისაუბროთ ადამიანის ფუნდამენტური პრინციპებისადმი ერთგულებაზე მაშინ, როდესაც განსხვავებული რელიგიისადმი კუთვნილება სამოქალაქო უფლებების რეალიზაციის ხელშემშლელი გარემოება ხდება. თანასწორობის სულისკვეთების დამკვიდრებას, განსხვავებულის მიმართ შემწყნარებლობის კულტურის ჩამოყალიბების წახალისებას ალტერნატივა არ გააჩნია, თუკი რა თქმა უნდა სახელმწიფო ისწრაფვის მაღალი სამოქალაქო ღირებულებების მატარებელი საზოგადოების, ძლიერი დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებისკენ. ამ გზაზე მნიშვნელოვანია მთვარობის მხრიდან ქმედითი, ზოგჯერ შესაძლოა პოლიტიკურად არაპოპულარული, თუმცა დემოკრატიისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი თამამი ნაბიჯების გადადგმა.

ოქტომბერში დასავლეთ საქართველოში გასვლითი შეხვედრები გვქონდა. ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის მუშებთან საუბარში მთავარ პრობლემებად გაუსაძლისი შრომითი პირობები, შვებულებით სარგებლობის შეზღუდვა, ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურების საკითხი და სპეციალური ტანსაცმლის დეფიციტი გამოიკვეთა. ქარხნის ადმინისტრაცია ადასტურებს საწარმოში პრობლემების არსებობას, თუმცა მათი სწრაფი მოგვარების პირობას ვერ იძლევა. ასეთი ხასიათის პრობლემები ქვეყნის ყველა დიდ საწარმოშია. უკვე მერამდენედ იჩინა თავი შრომის ინსპექციის შექმნის აუცილებლობამ, რომელიც დასაქმებულთა უფლებებსაც დაიცავს და შრომითი ურთიერთობებსაც დაარეგულირებს.

წყალტუბოში კოლექტიური ჩასახლების ცენტრებში მცხოვრებ დევნილებს შევხვდით, რომლებიც ამორტიზებულ შენობებში, არაჰიგიენურ პირობებში და სათანადო კომუნიკაციების გარეშე ცხოვრობენ. განსაკუთრებით საგანგაშოა მცირეწლოვანი ბავშვების მდგომარეობა, ვინაიდან გარემო, რომელშიც ისინი იზრდებიან, არაკეთილსაიმედო და საშიშია მათთვის.

აჭარის მთავრობის ხელმძღვანელთან არჩილ ხაბაძესთან გამართულ შეხვედრაზე კიდევ ერთხელ განვიხილეთ ყოფილი 53-ე და 25-ე სამხედრო ბატალიონების ტერიტორიაზე - ე.წ. მუყაოს დასახლებაში მცხოვრებთა მდგომარეობა.

ოქტომბერში კიდევ ერთი საპასუხისმგებლო ფუნქცია დაგვემატა. საქართველოს მთავრობამ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის შესახებ კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და განხორციელების მონიტორინგის სტრუქტურად საქართველოს სახალხო დამცველი დაასახელა. ტრადიციად ქცეული სახალხო დამცველის საჯარო დებატები ოქტომბერში სწორედ ამ თემას მივუძღვენით. ღონისძიებამ მასშტაბურად და ხმაურიანად ჩაიარა. დებატებს ასზე მეტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, მათი წარმომადგენლები და თემაზე მომუშავე ორგანიზაციები დაესწრნენ. მინდა კიდევ ერთხელ განვაცხადო, რომ კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის პროცესში, ისევე, როგორც ყველა სხვა საქმიანობისას, მე პირადად და მთელი ჩემი აპარატი ვიქნებით მაქსიმალურად გამჭვირვალე და უზრუნველვყოფთ ამ პროცესში დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ექსპერტების რეალურ ჩართულობას.

ჩემი მისალმება პრემიერ-მინისტრთან შეხვედრით მინდა დავასრულო. ვისაუბრეთ ყველა მტკივნეულ საკითხზე, რაც ზემოთ მოგახსენეთ და კიდევ, რაც ჩვენს ბიულეტენში შეგიძლიათ იხილოთ. ამასთან, დეტალურად განვუმარტე ჩემი უარყოფითი დამოკიდებულების მიზეზი საპარლამენტო კომიტეტის მიერ ფარული მიყურადებისას ინფორმაციის მოპოვების კონტროლის მექანიზმის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების გადავადების შესახებ. შეხვედრაზე უფრო მეტი კოორდინაციის და თანამშრომლობის დაპირება მივიღე. იმედი მაქვს, დაპირება რეალობად იქცევა.

2. მთავარი თემები

2.1. ქალთა მიმართ ძალადობა

ოქტომბრის თვეში კვლავ ქალთა მიმართ ძალადობა აღმოჩნდა ჩვენი ბიულეტენის მთავარი თემა. სახალხო დამცველი აქტიურად იყო ჩართული ამ მწვავე პრობლემის გადაჭრის გზების ძიებაში.

17 ოქტომბერს სახალხო დამცველმა კიდევ ერთი განცხადება გააკეთა ქალთა მიმართ ძალადობის მასშტაბების გაზრდასთან დაკავშირებით. „ეს არის მთელი საზოგადოების ტკივილი და პრობლემა, რომელთან გამკლავება ვერ შევძელით . . . ქალთა მიმართ ძალადობა დიდი ხანია გასცდა ჩაკეტილ სივრცეს. დღეს ყოფილმა ქმარმა სამსახურში მოკლა ცოლი, ლამბალოში მთელი სოფლის თანდასწრებით სცემეს ახალგაზრდა ქალი, რამაც იგი თვითმკვლელობამდე მიიყვანა. . .

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ყველანაირი ძალისხმევა იქნეს გამოყენებული ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის, შესაძლო მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებისათვის. აუცილებელია

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა გამოიყენონ ყველა არსებული ბერკეტი ძალადობის შესაჩერებლად. საზოგადოებამ უნდა დაარღვიოს დუმილი და შეიცვალოს გულგრილი დამოკიდებულება, რადგან ქალთა მიმართ ძალადობა არის საზოგადოებისათვის საშიში დანაშაული." - განაცხადა სახალხო დამცველმა.

21 ოქტომბერს სახალხო დამცველმა პრესკონფერენცია გამართა, რომელზეც საზოგადოებას საქართველოს პარლამენტისადმი გაგზავნილი წინადადება წარუდგინა.

სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტისაგან მოითხოვა განსაკუთრებული მსჯელობის საგნად იქცეს ქვეყანაში ქალთა მიმართ ძალადობის საშიში ტენდენციები; ამასთან, პარლამენტმა გამოიყენოს საპარლამენტო დემოკრატიული კონტროლის მექანიზმი და უახლოეს პერიოდში მოიწვიოს საქართველოს მთავრობის შესაბამისი წევრები პრობლემების მოგვარების კონკრეტული და პრაქტიკული ნაბიჯების თაობაზე ანგარიშის მოსასმენად.

„ვინაიდან, ამოვწურე ჩემს ხელთ არსებული სამართლებრივი რეაგირების შესაძლებლობები ქალთა სიცოცხლის წარუვალი უფლების დასაცავად, მოვითხოვ, რომ საქართველოს მთავრობამ საქართველოს პარლამენტს და შესაბამისად, საქართველოს მოსახლეობას წარუდგინოს ანგარიში, რა კომპლექსური ღონისძიებების გატარებას ისახავენ მიზნად და სად დაუშვეს შეცდომები. სწორედ ეს ანგარიში უნდა გახდეს პარლამენტის მსჯელობის საგანი", - განაცხადა სახალხო დამცველმა პრესკონფერენციაზე.

ქალთა მიმართა ძალადობის მასშტაბების ზრდის შესახებ თავისი შეშფოთება დააფიქსირეს სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა საბჭოს წევრმა რელიგიურმა გაერთიანებებმა. მათ მწუხარება გამოთქვეს ქალთა მიმართ ძალადობისა და მკვლელობის უკიდურესად შემაშფოთებელი შემთხვევების გამო და მიუსამძიმრეს დაღუპულთა ოჯახებსა და ახლობლებს.

„ყველა დიდი რელიგიური მოძღვრების სულისკვეთება სიყვარულის, პიროვნული თავისუფლებისა და თანასწორობის ქადაგება გახლავთ. ქალებისადმი ძალადობის ბოლოდროინდელი ესკალაცია, სწორედ ამ თავისუფლების წინააღმდეგ გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი ამხედრებაა და იმის გარდა, რომ თითოეული ეს შემთხვევა სამართლებრივი კუთხით მძიმე დანაშაულია, ამავდროულად, ყველა რელიგიური მოძღვრებისთვის უმძიმეს ცოდვასა და ბოროტებას წარმოადგენს", - ნათქვამია განცხადებაში.

2.2. სოფელ მოხეში განვითარებული მოვლენები ხელისუფლების მხრიდან ადეკვატურ რეაგირებას საჭიროებს

თავის საპარლამენტო ანგარიშებში სახალხო დამცველი მრავალჯერ მიუთითებდა სხვადასხვა რელიგიური გაერთიანებისთვის საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული რელიგიური დანიშნულების შენობა-ნაგებობების საკითხის მოგვარების საჭიროებაზე, მათ შორის, სოფელ მოხეში მდებარე ისტორიული მეჩეთის საკითხზე.

არსებული პრობლემისადმი უყურადღებობამ და გულგრილმა დამოკიდებულებამ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეში მცხოვრები მუსლიმი მოქალაქეების პროტესტი გამოიწვია. მათ ყოფილი მეჩეთის დემონტაჟისას პოლიციის თანამშრომლებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს და პოლიციის ავტომანქანები დააზიანეს. შედეგად, დააკავეს მუსლიმი თემის 14-მდე წარმომადგენელი.

შენობა მუსლიმ მრევლს საბჭოთა პერიოდში ჩამოერთვა და მას შემდეგ წლებია ადგილობრივი მუსლიმი მოსახლეობა მის დაბრუნებას ითხოვს. ამის მიუხედავად, ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობამ შენობის კლუბად გადაკეთების გადაწყვეტილება მიიღო.

22 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველმა მოუწოდა ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობას, საკითხის სენსიტიურობიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, შეეჩერებინა შენობის დემონტაჟი.

26 ოქტომბერს სახალხო დამცველმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი აღნიშნული საკითხის დიალოგის რეჟიმში განხილვის და განხილვამდე დემონტაჟის პროცესის შეჩერების აუცილებლობას.

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულები შეხვდნენ და გაესაუბრნენ სოფლის მუსლიმ და მართლმადიდებელ მოსახლეობას; ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესა და ამავე მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს. მათ ასევე მოინახულეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალციხისა და ბორჯომის დროებითი მოთავსების იზოლატორებში განთავსებული 22 ოქტომბერის აქციაზე დაკავებული პირები, გაეცნენ მათი გარეგანი დათვალიერების ოქმებს. დაკავებულ პირებს სხეულზე აღენიშნებოდათ სხვადასხვა სახის დაზიანებები.

საქართველოს სახალხო დამცველმა მოუწოდა სამართალდამცავ ორგანოებს დაუყოვნებლივ დაიწყონ გამოძიება პოლიციელების მიერ სავარაუდო ძალის გადამეტების ფაქტებზე და უმოკლეს ვადებში გააცნონ საქართველოს სახალხო დამცველს და საზოგადოებას გამოძიების შედეგები. აუცილებელია, რომ მშვიდობიანი აქციის მონაწილეების

მიმართ გამოყენებული გადამეტებული ძალის ფაქტები არ დარჩეს დაუსჯელი.

ასევე, სახალხო დამცველმა მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას, იმოქმედოს საქართველოს კონსტიტუციით და საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად და არ დაუშვას რელიგიურ უმცირესობათა უფლებების დარღვევა.

2.3. გაეროს შშმ პირთა უფლებების დაცვის შესახებ კონვენციის შესრულებას მონიტორინგს სახალხო დამცველის აპარატი გაუწევს

27 ოქტომბერს საქართველოს მთავრობამ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის შესახებ კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და განხორციელების მონიტორინგის სტრუქტურად საქართველოს სახალხო დამცველი დაასახელა.

2013 წლის 26 დეკემბერს საქართველომ მოახდინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის შესახებ კონვენციის რატიფიცირება, რომელიც ძალაში შევიდა 2014 წლის 12 აპრილიდან.

2015 წლის იანვრიდან საქართველოს სახალხო დამცველის ოფისში კონვენციის მონიტორინგის მექანიზმი შეიქმნება.

3. სახალხო დამცველის რეკომენდაციები სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს

3.1. რეკომენდაცია რუსთავის მუნიციპალიტეტის მერს

2 ოქტომბერს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა რუსთავის მუნიციპალიტეტის მერს დავით ჯიქიას სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის სპეციალისტის ვ.გ.-ს გათავისუფლების კანონიერების შესწავლასთან დაკავშირებით.

ვ.გ. დაკავებული თანამდებობიდან ლიკვიდაციის საფუძვლით გაათავისუფლეს, თუმცა, რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში დღემდე არსებობს როგორც სტრუქტურული, ისე საშტატო ერთეული, სადაც განმცხადებელი მუშაობდა და რეალურად სამსახურის ლიკვიდაციას ადგილი არ ჰქონია.

სამსახურის ლიკვიდაციის საფუძვლით საჯარო მოხელის დაკავებული თანამდებობებიდან გათავისუფლება შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ სამსახურის ლიკვიდაციის შემთხვევაში. შესაბამისად, ბრძანება ვ.გ-ს დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე, ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს და არღვევს განმცხადებლის უფლებებს.

3.2. რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს

3 ოქტომბერს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს გიორგი მღებრიშვილს, ამავე სამინისტროდან საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსის - დ.მ-ს გათავისუფლების კანონიერების შესწავლასთან დაკავშირებით.

დ.მ. დაკავებული თანამდებობიდან სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული შეუსრულებლობის და არაჯეროვანი შესრულების საფუძვლით გაათავისუფლეს.

სახალხო დამცველის აპარატის შესწავლის შედეგების მიხედვით, სამინისტროს მიერ შედგენილი დოკუმენტაციით ვერ დადასტურდა, თუ რაში გამოიხატებოდა მოქალაქე დ.მ.-ს მხრიდან სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება.

დაკავებული თანამდებობიდან პირის გათავისუფლება შეიძლება მხოლოდ ყველა არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებისა და ფაქტის შესწავლის შედეგად და გადაწყვეტილების შესაბამის დასაბუთებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახვით, რაც დ.მ.-ს შემთხვევაში არ მომხდარა, ამით კი შეილახა მისი კანონიერი უფლებები.

3.3. რეკომენდაციები სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს

3 ოქტომბერს სახალხო დამცველმა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარეს პაპუნა უგრეხელიძეს შპს „სოფლის სახლის“ საკუთრების უფლების ხელყოფასთან დაკავშირებით ორი რეკომენდაციით მიმართა.

საჯარო რეესტრის სარეგისტრაციო სამსახურმა 2011 წელს გარდაბნის რაიონის სოფელ შინდისში მდებარე მიწაზე რეგისტრაციის განხორციელებამდე არ შეასრულა კანონით დაკისრებული ვალდებულება, არ გამოიკვლია, ჰყავდა თუ არა ქონებას მესაკუთრე და შპს „სოფლის სახლის“ 2004 წლიდან რეგისტრირებული 8256 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთი და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობები სხვის საკუთრებად დაარეგისტრირა.

15 ოქტომბერს სახალხო დამცველმა კიდევ ერთი რეკომენდაციით მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს თავმჯდომარეს პაპუნა უგრეხელიძეს, მოქალაქე მ.ხ.-ს საკუთრების უფლების ხელყოფასთან დაკავშირებით.

საჯარო რეესტრში მოქალაქე მ.ხ.-ს საკუთრებაში 2001 წელს დარეგისტრირებული, სოფელ კიკეთში არსებული 600 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთი 2007 წლიდან სახელმწიფოს საკუთრებაში დარეგისტრირდა, და შემდგომ აუქციონის წესით გაიყიდა. განსახილველ შემთხვევაში სარეგისტრაციო სამსახურმა ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაციამდე არ შეასრულა კანონით დაკისრებული ვალდებულება, არ შეამოწმა მასთან დაცული მონაცემები და არ გამოიკვლია, ჰყავდა თუ არა ქონებას მესაკუთრე, რითაც შეილახა მ.ხ.-ს საკუთრების უფლება.

3.4. რეკომენდაცია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს

15 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა აბილიტაციისა და რეაბილიტაციის თაობაზე რეკომენდაციით მიმართა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს დავით სერგეენკოს.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვანი ე.ნ. მარტიდან ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამის, ხოლო, ივნისიდან „ბავშვთა აბილიტიაცია/რეაბილიტაციის“ ქვეპროგრამის მაძიებელთა რეესტრში არის დარეგისტრირებული. მიუხედავად ამისა, დასახელებული პროგრამების ფარგლებში მომსახურება დღემდე არ მიუღია.

ფოკუს ჯგუფებთან ჩატარებული შეხვედრებისას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების წარმომადგენლები/მშობლები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის განკუთვნილი შეღავათების დაკავშირება ოჯახის სოციალურ მდგომარეობასთან, ხშირ შემთხვევაში, ხელს უშლიდა მათ შვილების, მიეღოთ აუცილებელი მომსახურება.

სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მინისტრისგან მოითხოვა:

- უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის მიერ კუთვნილი სოციალური სერვისებით სარგებლობა;
- შეისწავლოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ინდივიდუალური საჭიროებები და კვლევის შედეგების შესაბამისად დაგეგმოს აბილიტაციისა და რეაბილიტაციის პროგრამები;
- შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა მიერ სოციალური სერვისების თანაბარი სარგებლობისათვის.

23 ოქტომბერს სახალხო დამცველს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ დავით ლომიძემ წერილობით შეატყობინა, რომ სამინისტრო დიდი ყურადღებით ეკიდება სახალხო დამცველის რეკომენდაციებსა და წინადადებებს და დაპირდა, რომ შექმნილი პრობლემის მოგვარების მიზნით განხორციელდება შესაბამისი სახელმწიფო პროგრამის ანალიზი და შემდგომი დაგეგმვა სახალხო დამცველის რეკომენდაციის გათვალისწინებით მოხდება.

3.5. რეკომენდაცია საქართველოს პრემიერ-მინისტრს

21 ოქტომბერს სახალხო დამცველმა საქართველოს პრემიერ-მინისტრს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 მარტის №45 დადგენილებაში ცვლილებების განხორციელების რეკომენდაციით მიმართა.

დადგენილების მიხედვით, ჯანმრთელობის დაზიანების გამო დახმარება შეიძლება დაენიშნოს საქართველოს მოქალაქეს, რომელიც დასაქმებული იყო საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ და ლიკვიდირებულ საწარმოში, რომელსაც არ ჰყავს უფლებამონაცვლე (ეს წესი არ ვრცელდება სს „ჭიათურმანგანუმისა“ და „საქნახშირის“ დეპარტამენტში დასაქმებულებზე, რომლებსაც 2007 წლამდე დაუდგინდა პროფესიული დაავადება ან ჯანმრთელობის დაზიანება).

აღსანიშნავია, რომ სს „ზესტაფონის გ .ნიკოლაძის სახელობის ფეროშენადნობთა ქარხნის“ თანამშრომლები ვერ სარგებლობენ დახმარებით, მიუხედავად იმისა, რომ მათაც 2007 წლამდე მიიღეს დაზიანება სახელმწიფო საწარმოში, რომელსაც არ ჰყავს უფლებამონაცვლე.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული საწარმოების თანამშრომლები არსებითად თანასწორ სუბიექტებს წარმოადგენენ, ანალოგიურ პირობებში იმყოფებიან და მათ მიმართ ერთნაირი სამართლებრივი რეჟიმი უნდა მოქმედებდეს.

3.6. რეკომენდაცია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებელს

21 ოქტომბერს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებელს კონსტანტინე მამისეიშვილს სოციალურად დაუცველი ჟენია ჯიშკარიანის თავშესაფრით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

სახალხო დამცველი პირადად ჩავიდა წყალტუბოს რაიონის სოფელ გუმათში და 87 წლის მარტოხელა პენსიონერი ჟენია ჯიშკარიანი მოინახულა. ქალბატონს საცხოვრებელი სახლი 1992 წელს ხანძრის შედეგად დაეწვა. მას შემდეგ მან თავშესაფრის მოთხოვნით არა ერთხელ მიმართა ადგილობრივ თუ ცენტრალურ ხელისუფლებას, თუმცა უშედეგოდ.

ამჟამად ჟენია ჯიშკარიანი ცხოვრობს 4 კვ.მ რკინის ვაგონში, სადაც შეუძლებელია ჰიგიენის დაცვა და საკვების მომზადება. მას არა აქვს სათანადო ტანსაცმელი, საწოლი და სხვა საჭირო ნივთები; უჭირს გამოზამთრებაც. პენსია და სოციალური დახმარება არ არის საკმარისი მინიმალური საყოფაცხოვრებო პირობების უზრუნველსაყოფად.

ჟენია ჯიშკარიანი უარს აცხადებს სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატში ჩარიცხვაზე იმ მიზეზით, რომ არ შეუძლია დატოვოს თავისი საცხოვრებელი ადგილი შვილისა და მეუღლის საფლავებთან სიახლოვის გამო.

ვინაიდან ჟენია ჯიშკარიანს დამოუკიდებლად არ შეუძლია უზრუნველყოს ღირსეული ცხოვრებისთვის აუცილებელი მინიმალური პირობები, რაც საფრთხეს უქმნის მის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს, მას სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების მხრიდან ესაჭიროება მყისიერი და ეფექტური დახმარება.

3.7. რეკომენდაცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

28 ოქტომბერს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შეისწავლოს, რამდენად მართლზომიერი და მიზანშეწონილია მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრის მიერ მოსწავლის კონსულტირებისას პერსონალური მონაცემების დამუშავება (პროცესის აუდიო-ვიდეო გადაღება, შენახვა და შემდგომი გამოყენება).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის ფსიქოლოგიური ცენტრი 6-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნების ფსიქოლოგიურ მომსახურებას ვიდეო-კამერით აღჭურვილ ოთახში გეგმავს, რაც მიღებული ინფორმაციის შემდგომი დამუშავების საფუძველი გახდება.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მსგავსი ქმედება არასრულწლოვანის პირად სივრცეში გაუმართლებელი ჩარევის საფრთხეს ქმნის.

4. სახალხო დამცველის წინადადებები სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს

4.1. წინადადება მთავარ პროკურორს შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით

1 ოქტომბერს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა მთავარ პროკურორს დაიწყოს გამოძიება პოლიციის მხრიდან განხორციელებულ შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებებთან დაკავშირებით.

თ.გ-ს განცხადებით, იგი შსს ზესტაფონის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ცემეს და იძულებით ჩაუდეს ნარკოტიკული ნივთიერება. ამის შემდეგ, შემთხვევის ადგილზე მოვიდნენ შსს ზესტაფონის რაიონული სამმართველოს უფროსი და მოადგილე, რა დროსაც პოლიციის თანამშრომლებმა ხელმეორედ დაიწყეს მისი ჩხრეკა, რასაც იღებდნენ ვიდეოკამერით. დაკავებული სიტყვიერად აპროტესტებდა იმ ფაქტს, რომ უკვე ჩადებული ჰქონდათ ნარკოტიკული ნივთიერება. როგორც მოქალაქე აცხადებს, „დადგმული ჩხრეკის“ შემდეგ, თ.გ-ს შსს ზესტაფონის რაიონული სამმართველოს უფროსმა და მოადგილეებმა ასევე მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა.

4.2. წინადადება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს

2 ოქტომბერს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს შს სამინისტროს საგარეჯოს რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორების განყოფილების უფროს-გამომძიებლის, პოლიციის მაიორის მიმართ დისციპლინური საქმისწარმოების დაწყებასთან დაკავშირებით.

პოლიციის უფროსმა გამომძიებელმა შეაჩერა მოქალაქე ე.შ-ს საკუთრებით სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიებები, იმ მიზეზით, რომ სავარაუდო ხელმყოფმა შსს იურიდიულ სამმართველოში გაასაჩივრა მოძრავი ნივთებისაგან სახლის გამოთავისუფლების შესახებ გაფრთხილება. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კი ასეთი გასაჩივრება გამოსახლების პროცესს არ აჩერებს.

შესაბამისად, შსს თანამშრომელმა დაირღვა კანონი და ხელი შეუშალა მესაკუთრეს, ესარგებლა თავისი საკუთრებით.

5. სახალხო დამცველის საკანონმდებლო ინიციატივები

5.1. საკანონმდებლო წინადადება საქართველოს პარლამენტს

21 ოქტომბერს სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტს „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონსა და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონში ცვლილებების განხორციელების წინადადებით მიმართა.

მოქმედი კანონმდებლობით, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეს, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადის ამოწურვისას, ენიშნება სახელმწიფო კომპენსაცია. თუმცა, კომპენსაცია, ასევე, ენიშნება საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა იმ კატეგორიას, რომელსაც 10-წლიანი უფლებამოსილების ვადის ფარგლებში, მოსამართლედ სულ ცოტა 3 წლის ვადით გამწესების შემდეგ, პირადი განცხადების საფუძველზე შეუწყდა უფლებამოსილება.

ამასთან, საერთო სასამართლოს მოსამართლეებისთვის სახელმწიფო კომპენსაციის გაცემის სამართლებრივ საფუძვლად, ერთმნიშვნელოვნად, დადგენილია სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ამოწურვა.

სახალხო დამცველს აზრით, მხოლოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების მიმართ საგამონაკლისო წესების შემოღება გაუმართლებელ, დისკრიმინაციულ დიფერენციაციას იწვევს, რადგან, როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, ისე საერთო სასამართლოს მოსამართლეს გადაწყვეტილება გამოაქვს სახელმწიფოს სახელით, რომელიც თანაბრად სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისთვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

29 ოქტომბერს სახალხო დამცველს საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტიდან შეატყობინეს, რომ წარდგენილი საკანონმდებლო წინადადების საფუძველზე, კანონპროექტის შემუშავების მიზნით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელშიც სახალხო დამცველის წარმომადგენელი იქნება ჩართული.

6. წარმატებული საქმეები

6.1.

2 ოქტომბერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მიღებული წერილის თანახმად, სახალხო დამცველის რეკომენდაციის საფუძველზე, მესტიის მუნიციპალიტეტის სკოლების: ლატალის, ნაკრას, ყარს-გურიშის, წვირმისა და მულახის საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოები სამინისტრომ 2015 წლის სამოქმედო გეგმაში შეიტანა.

* საქართველოს სახალხო დამცველი თავისი რეკომენდაციით მესტიის მუნიციპალიტეტის სკოლებში მოსწავლეთათვის უსაფრთხო ფიზიკური და ინფრასტრუქტურული გარემოს შექმნას ითხოვდა.

6.2. სახალხო დამცველის დახმარებით მოქალაქეს ვეტერანის სტატუსი დაუდგინდა

21 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველის მართლმსაჯულების დეპარტამენტის ძალისხმევით, სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურმა მოქალაქე ი.კ-ს დაუდგინა ვეტერანის სტატუსი, რის შედეგადაც ის შეძლებს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სოციალურ-ეკონომიკური შეღავათებით სარგებლობას.

6.3. სახალხო დამცველის ჩარევით უკრაინის მოქალაქეები საჯარო სკოლაში ჩარიცხეს

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრმა შეისწავლა არასრულწლოვანთა საქმე, რომელთაც უარი ეთქვა საჯარო სკოლაში ჩარიცხვაზე, რადგან იყვნენ უკრაინის მოქალაქეები.

სახალხო დამცველის ბავშვის უფლებების ცენტრმა **6 ოქტომბერს** მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და გამოითხოვა ინფორმაცია იმ ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების შესახებ, რომლებიც აბრკოლებდა მოსწავლეთა საჯარო სკოლაში ჩარიცხვას. ასევე მოითხოვა ბავშვების ჩარიცხვა საჯარო სკოლაში, მათი ზოგადი განათლების უფლების განხორციელების მიზნით.

23 ოქტომბერს სახალხო დამცველს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან შეატყობინეს, რომ სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება ბავშვების საჯარო სკოლაში ჩარიცხვასთან დაკავშირებით.

7. მიმდინარე მოვლენები

7.1. შეხვედრა ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის თანამშრომლებთან

15 ოქტომბერს სახალხო დამცველი ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის მუშებსა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს შეხვდა. როგორც

შეხვედრაზე გამოიკვეთა, ქარხანაში დასაქმებულთა მთავარ პრობლემებს გაუსაძლისი შრომითი პირობები, შვებულებით სარგებლობის შეზღუდვა, ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურების საკითხი და სპეციალური ტანსაცმლის დეფიციტი წარმოადგენს. ქარხნის ადმინისტრაცია ადასტურებს საწარმოში გარკვეულ პრობლემების არსებობას, თუმცა მოუთითებს, რომ ეტაპობრივად ყველა პრობლემა გვარდება.

შეხვედრაზე ისეთი საკითხებიც წამოიჭრა, რომლებიც საკანონმდებლო ცვლილებს მოითხოვს. უჩა ნანუაშვილმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი შრომის ინსპექციის შექმნის აუცილებლობას, რომელიც დასაქმებულთა უფლებებს დაიცავს და ხელს შეუწყობს შრომითი ურთიერთობების დარეგულირებას.

7.2. შეხვედრა წყალტუბოში მცხოვრებ დევნილებთან

15 ოქტომბერს სახალხო დამცველი წყალტუბოში კოლექტიურ ცენტრებში მცხოვრებ დევნილებს შეხვდა. წყალტუბოში ჩასახლებულ დევნილებს, სხვა დევნილების მსგავსად, მთავარ პრობლემად განსახლების გადაუჭრელი საკითხი უდგათ.

ამასთან, ის შენობები, რომელშიც ამჟამად დევნილები არიან განთავსებული, ამორტიზების გამო სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველია და სერიოზულ გამაგრებას საჭიროებს; არ ფუნქციონირებს კანალიზაციის სისტემა, სარდაფებში დგას წყალი, რთულია ჰიგიენური პირობების დაცვა, არ მიეწოდებათ ბუნებრივი აირი, ხოლო მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური იმდენად მაღალია, რომ დავალიანების დაფარვას ვერ ახერხებენ. განსაკუთრებით საგანგაშოა, რომ ჩასახლებებში არ არის სათანადოდ დაცული მცირეწლოვანი ბავშვების ინტერესები.

საქართველოს სახალხო დამცველმა მოუწოდა დევნილთა და განსახლების სამინისტროს შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში მიმართონ ყველა აუცილებელ ზომებს, რათა მოხდეს მოქალაქეთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და ადეკვატური საცხოვრისით ეტაპობრივი უზრუნველყოფა.

7.3. სახალხო დამცველმა ქობულეთის პანსიონთან დაკავშირებული მოვლენები განიხილა

17 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველი ქობულეთში, მუსლიმთა სასულიერო პანსიონის გახსნასთან დაკავშირებით განვითარებული მოვლენების განსახილველად აჭარის მთავრობის ხელმძღვანელს არჩილ ხაბაძეს შეხვდა.

შეხვედრა აჭარის მთავრობის ხელმძღვანელთან არჩილ ხაბაძესთან

შეხვედრაზე პრობლემის აღმოფხვრის გზებზე ისაუბრეს. სახალხო დამცველის განცხადებით, ხელისუფლებამ სწრაფად და ეფექტურად უნდა იმოქმედოს, რათა მხარეებს შორის შეთანხმება დროულად იქნეს მიღწეული და უზრუნველყოფილი იყოს კონსტიტუციით გარანტირებული რელიგიის თავისუფლება. „მნიშვნელოვანია, გამოძიება დასრულდეს რაც შეიძლება მალე და სწორი რეაგირება მიეცეს მომხდარ ფაქტს. გამოძიება სამწუხაროდ დღემდე გაჭიანურებულია და ადეკვატური არ არის ის სასჯელი, რომელიც მოჰყვა ინცინდენტს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია მოლაპარაკებების პროცესი უფრო აქტიურად გაგრძელდეს რეალური შედეგის მისაღებად“, - განაცხადა სახალხო დამცველმა.

თავის მხრივ, აჭარის მთავრობის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ უკვე შეხვდა საქართველოს პრემიერ-მინისტრს და საკითხი უახლოეს პერიოდში გადაწყდება კონფლიქტში მონაწილე მხარეების ინტერესების გათვალისწინებით.

აჭარის მთავრობის ხელმძღვანელთან შეხვედრაზე სახალხო დამცველმა მიმდინარე მოვლენებზეც ისაუბრა. მათ შორის, განიხილეს ყოფილი 53-ე და 25-ე სამხედრო ბატალიონების ტერიტორიაზე - ე.წ. მუყაოს დასახლებაში მცხოვრებთა მდგომარეობა.

შეხვედრა სრულიად საქართველოს მუფთთან ჯემალ პაქსაძესთან

ქობულეთის პანსიონის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით სახალხო დამცველი ასევე შეხვდა სრულიად საქართველოს მუფთს ჯემალ პაქსაძეს და ამ დროისათვის არსებული ვითარება განიხილა.

სახალხო დამცველი მუსლიმ რელიგიურ ლიდერებს დაპირდა, რომ აქტიურად იქნება ჩართული მათ წინაშე არსებული პრობლემების მოგვარების მონიტორინგში და თავისი კომპეტენციის ფარგლებში მაქსიმალურ ძალისხმევას მიმართავს მათი უფლებების დასაცავად. საქართველოს სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ აღნიშნული ინციდენტი არ გამოიწვევს რელიგიურ ნიადაგზე სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლებს შორის დაპირისპირებას და ვითარების ესკალაციას.

7.4. „ქალთა შრომითი დისკრიმინაციის შესახებ“ ანგარიშის პრეზენტაცია

20 ოქტომბერს სახალხო დამცველმა „შრომით ურთიერთობებში ქალთა დისკრიმინაციის შესახებ“ სპეციალური ანგარიში წარმოადგინა. ანგარიში მოიცავს იმ დაფარული პრობლემატიკის კვლევას, რაზეც ხშირად არ საუბრობენ. მათ შორის არის სექსუალური შევიწროების შემთხვევები, რომელსაც უმეტესწილად არ მოყვება შესაბამისი რეაგირება.

კვლევა 4 ძირითადი მიმართულებით ჩატარდა:

- ქალთა სექსუალური შევიწროება სამუშაო ადგილებზე;
- სხვაობა მამაკაცთა და ქალთა ანაზღაურებას შორის, როგორც დისკრიმინაციის ერთ-ერთი გამოვლინება შრომით ურთიერთობაში;
- დისკრიმინაცია სქესის ნიშნით წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში (როდესაც ქორწინების სტატუსის მიხედვით, შესაძლო ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის შვებულებისგან თავის ასარიდებლად ქალს უარს ეუბნებიან დასაქმებაზე ან ათავისუფლებენ სამსახურიდან);
- დისკრიმინაცია სქესის ნიშნით კარიერული წინსვლისას.

დისკუსიაზე სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა და დარგის ექსპერტებმა საკანონმდებლო ბაზის დახვეწისა და სამოქალაქო განათლების დონის ამაღლების აუცილებლობაზე ისაუბრეს.

ანგარიში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა დიდი ბრიტანეთის საქველმოქმედო ორგანიზაციის „ოქსფამის“ საქართველოს წარმომადგენლობის მხარდაჭერით და საერთაშორისო ორგანიზაციის „ქეა საერთაშორისო კავკასიაში“ ექსპერტის ხათუნა მადურაშვილისა და დამოუკიდებელი ექსპერტის რაისა ლიპარტელიანის მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე მოამზადა.

7.5. ფარული მიყურადებისას ინფორმაციის მოპოვების კონტროლის მექანიზმის თაობაზე გადაწყვეტილების გადავადების შესახებ

28 ოქტომბერს სახალხო დამცველმა პრესკონფერენცია გამართა, სადაც უარყოფითად შეაფასა საქართველოს პარლამენტის ინიციატივა ფარული მიყურადებისას კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული რეგულაციების შემუშავების 2015 წლის 1 აპრილამდე გადავადებასთან დაკავშირებით.

საქართველოს სახალხო დამცველს კატეგორიულად მიუღებლად მიაჩნია ცვლილებების შემუშავების ვადის გადაწევა „სრულყოფილად დამუშავებული საკანონმდებლო ცვლილებების მიღების“ მოტივით და მიაჩნია, რომ ამ მანკიერი საკანონმდებლო პრაქტიკას საფუძვლად სახელმწიფო ინსტიტუტების უუნარობა უდევს; ამასთან, საკითხის დარეგულირების გადავადებით შინაგან საქმეთა სამინისტრო ინარჩუნებს შეუზღუდავ წვდომას ინფორმაციასთან, რომელიც ადამიანის კერძო ცხოვრების სფეროს განეკუთვნება და ხშირ შემთხვევაში არა დანაშაულთან ბრძოლის, არამედ ადამიანთა შანტაჟის იარაღად გამოიყენება.

სახალხო დამცველმა მოუწოდა პარლამენტს, არ დაუშვას კანონპროექტის მოცემული სახით მიღება და იმსჯელოს სამოქალაქო საზოგადოების მიერ შემუშავებულ კომპრომისულ ვარიანტზე.

7.6. შეხვედრა პრემიერ-მინისტრთან

29 ოქტომბერს სახალხო დამცვლი მთავრობის კანცელარიაში საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს შეხვდა.

შეხვედრაზე მიმოიხილეს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობა, მიმდინარე პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოვლენები; ისაუბრეს ფარული მიყურადებისას ინფორმაციის მოპოვების კონტროლის მექანიზმის შემუშავების აუცილებლობაზე; ფემიციდის გახშირებული ფაქტების აღსაკვეთად არსებული პოლიტიკის გაუმჯობესების საჭიროებაზე; დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის საკითხზე.

სახალხო დამცველმა პრემიერს მიაწოდა ინფორმაცია ყველა იმ აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც საზოგადოების განხილვის საგანს წარმოადგენს. მათ შორის, საუბარი შეეხო კონფლიქტის ზონის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის უსაფრთხოებას; ადიგენის რაიონის სოფელ მოხეში განვითარებულ მოვლენებს და ზოგადად ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების პრობლემებს.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, განსაკუთრებით აღსანიშნავია სახალხო დამცველის ინსტიტუციური გაძლიერებისა და სახალხო დამცველის რწმუნებულთათვის დახურულ დაწესებულებებში ფოტო და ვიდეო გადაღების უფლების მინიჭებისათვის საკანონმდებლო ცვლილების საკითხი.

7.7. საქართველოს სახალხო დამცველის ოქტომბრის თვის საჯარო დებატები

31 ოქტომბერს სახალხო დამცველმა ევროკავშირის პროექტის „სახალხო დამცველის აპარატის მხარდაჭერა“ დახმარებით, მორიგი საჯარო დებატები გამართა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივ მდგომარეობაზე. დებატებს მოდერაცია გაუწია გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენელმა ნათია ნაცვლიშვილმა.

ღონისძიების გახსნაზე სახალხო დამცველის მოადგილემ პაატა ბელთაძემ ისაუბრა გაეროს კონვენციის იმპლემენტაციაზე მონიტორინგის ორგანოდ სახალხო დამცველის გამოცხადებაზე. აღნიშნა, რომ თავის უფლებამოსილებას სახალხო დამცველის აპარატი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან, მათ წარმომადგენლებთან და თემაზე მომუშავე ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გზით განახორციელებს. დებატებზე მოხსენებებით წარდგნენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე დავით ლომიძე, მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენელი ნატალია ჯალიაშვილი, ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრიდან ლინა ღვინიანიძე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სამთავრობო საკოორდინაციო საბჭოს რეგიონებში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესების წარმომადგენელი სიმონ პეტრიდისი.

სახალხო დამცველის წარმომადგენელმა ნათია ფირაშვილმა დებატების მონაწილეებს კონვენციის მონიტორინგისათვის მზადების პროცესში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში და მომავლისთვის დასახული გეგმები გააცნო. ხაზი გაუსვა მონიტორინგში სხვადასხვა უწყებებისა და თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობის მნიშვნელობას.

დისკუსია საკმაოდ მწვავედ წარიმართა, რომელიც ძირითადად შეეხო შშმ პირთა ჩართულობას მონიტორინგის პროცესში, მათთვის ახალი პროგრამების/სერვისების წამოწყების აუცილებლობას, არსებული პროგრამებისა და პენსიების ზრდას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივ მდგომარეობას რეგიონებში.

8. სახალხო დამცველის აპარატის ცალკეული სამსახურის პერიოდული საქმიანობა

8.1. არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგი რეგიონებში

1-3 ოქტომბერს სახალხო დამცველის ბავშვის უფლებების ცენტრის წარმომადგენლებმა, არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობის შემოწმების მიზნით, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 11 სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებასა და სკოლაში სასწავლო და ინფრასტრუქტურული გარემო შეამოწმეს. ასევე, მოინახულეს სოციალურად დაუცველ ბავშვთა ოჯახები და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონული განყოფილება.

7-10 ოქტომბერს სახალხო დამცველის ბავშვის უფლებების ცენტრის წარმომადგენლებმა, ონისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტების 4 სააღმზრდელო დაწესებულებასა და 5 საჯარო სკოლაში არსებული სასწავლო და ინფრასტრუქტურული გარემო შეამოწმეს. ასევე, მოინახულეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონული განყოფილებები, საგანმანათლებლო რესურსცენტრები და საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება.

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ რეგიონებში წლებია არ გაუმჯობესებულა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურული და სასწავლო გარემო. კერძოდ, არ გატარებულა რაიმე სახის ღონისძიებები პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადებისათვის, მოუგვარებელია მოსწავლეთა ტრანსპორტირე-

ბისა და სასწავლო დაწესებულებების ადეკვატური ინვენტარით უზრუნველყოფის საკითხები.

ამასთან, საჯარო სკოლები არ არის ადაპტირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისათვის. იკვეთება ინკლუზიური განათლების განხორციელებისა და განმტკიცების, ასევე, შესაბამისი სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობის პრობლემები.

სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში არადამაკმაყოფილებელია სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, ადრეული და სკოლამდელი განათლების უფლების პრაქტიკაში განხორციელება და აღმზრდელთა კვალიფიკაცია.

მთელ რიგ სოფლებში არასრულწლოვანთათვის შეზღუდულია სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა - არ ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტები, არ არის ბავშვთა ექიმი.

ყაზბეგსა და რაჭაში განხორციელებული მონიტორინგისა და შეხვედრების შედეგად გამოვლენილ ბავშვთა უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების სავარაუდო დარღვევების შესახებ სახალხო დამცველის აპარატში საქმისწარმოება დაიწყო.

8.2. პრევენციული ვიზიტები

15-25 ოქტომბერს პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა მდგომარეობის შესწავლის მიზნით იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის სამმართველოები და დროებითი იზოლატორები, ასევე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N2, N3 და N14 დაწესებულებები მოინახულა. ვიზიტის დროს აგრეთვე შემოწმდა პატიმართა ბადრაგირებისათვის განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალებები. მოპოვებული მონაცემების ანალიზის შემდგომ სახალხო დამცველი შესაბამის ანგარიშს გამოსცემს, რომელშიც მოცემული იქნება კონკრეტული რეკომენდაციები.

9. სხვა სიახლეები

9.1. ჟურნალისტის ცემის ფაქტსა და „თავისუფალი ზონის“ ოფისთან მომხდარი ინციდენტის შესახებ

საქართველოს სახალხო დამცველი გამოეხმაურა გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტი ზაზა დავითაიას ცემის ფაქტს, რაც შემდგომში არასამთავრობო ორგანიზაციების „თავისუფალი ზონისა“ და „თავისუფალი თაობის“ წარმომადგენლებს შორის ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

სახალხო დამცველმა მოუწოდა სამართალდამცავ ორგანოებს ეფექტიანად აწარმოონ ჟურნალისტის ცემისა და შემდგომ განვითარებული დაპირისპირების გამოძიება, ინციდენტებში მონაწილე პირების გამოვლენისა და მათ მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებული ადეკვატური სანქციების გატარების მიზნით. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალისტის მიმართ განხორციელებული ძალადობრივ ქმედებას უნდა მიეცეს სათანადო კვალიფიკაცია სამართალდამცავი ორგანოების მიერ და გამოძიება ჩატარდეს მოკლე ვადებში.

9.2. განცხადება ქუთაისში მომხდარი ტრაგიკული შემთხვევის შესახებ

საქართველოს სახალხო დამცველმა **3 ოქტომბერს,** ქუთაისში, პოლიციელის მხრიდან მირზა გოჩუაძისთვის სიცოცხლის მოსპობის ფაქტის სწრაფი, ეფექტური და მიუკერძოებელი გამოძიება მოითხოვა. მსგავსი ფაქტები კიდევ ერთხელ ადასტურებს დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს შექმნის აუცილებლობას, რომელიც სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან ადამიანის უფლებათა სავარაუდო დარღვევის ფაქტებს შეისწავლის.

9.3. განცხადება წმინდა ბარბარეს სახელობის ტაძარის დარბევასთან დაკავშირებით

საქართველოს სახალხო დამცველმა დაგმო **14 ოქტომბერს** თბილისში, წმინდა ბარბარეს სახელობის ტაძრის გაქურდვისა და ტაძარში არსებული რელიგიური სიწმინდეების დაზიანების ფაქტი. ამასთან, მოუწოდა სამართალდამცავ ორგანოებს ეფექტიანად აწარმოონ გამოძიება, ინციდენტში მონაწილე პირების გამოვლენისა და მათ მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებული ადეკვატური სანქციების გატარების მიზნით. „ვინაიდან, ეკლესიიდან არამარტო წაღებულია თანხა და ოქროს ნივთები, არამედ დაზიანებულია ტაძარში არსებული სიწმინდეები, მნიშვნელოვანია დადგინდეს, დანაშაული არის თუ არა ჩადენილი რელიგიური მოტივით“, - განაცხადა სახალხო დამცველმა.

9.4. შეიარაღებული ძალების ომბუდსმენთა მე-6 საერთაშორისო კონფერენცია

26-29 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მართლმსაჯულების დეპარტამენტის უფროსი ნათია კაციტაძე ჟენევაში გამართულ შეიარაღებული ძალების ომბუდსმენების მე-6 საერთაშორისო კონფერენციას დაესწრო.

შეიარაღებული ძალების ომბუდსმენთა კონფერენცია უკვე მეექვსე წელია იმართება შეიარაღებული ძალების დემოკრატიული კონტროლის ცენტრის (DčAč) ძალისხმევით და ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს, მათ შორის შეიარაღებული ძალების ომბუდსმენებს შორის გამოცდილების გაზიარებისა და თანამშრომლობის გაღრმავების საუკეთესო საერთაშორისო ფორუმია.

9.5. ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა მადრიდში

27-29 ოქტომბერს, მადრიდში გაეროს მოსახლეობის ფონდის ორგანიზებით, ესპანეთის საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტომ უმასპინძლა ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრას ,,ადამიანის უფლებებისა და სოციალური ინკლუზიის გათვალისწინება 2015 წლის შემდგომ დღის წესრიგში: თანასწორობა, ხარისხი და ანგარიშვალდებულება მარგინალური და გარიყული ჯგუფებისთვის".

შეხვედრაზე საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის უფროსმა ეკატერინე სხილაძემ მოხსენება წარადგინა ადამიანის უფლებადაცვითი ეროვნული ინსტიტუტების როლზე სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების სფეროში საქმიანობისათვის.

9.6. შეხვედრა ჩეხეთის რესპუბლიკის სახალხო დამცველის წარმომადგენლებთან

27-30 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში სამ დღიანი სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ ჩეხეთის რესპუბლიკის სახალხო დამცველის წარმომადგენლობის პრევენციის ეროვნული მექანიზმისა და საოჯახო საკითხთა დეპარტამენტის წევრები.

ვიზიტის ფარგლებში ყურადღება დაეთმო პრევენციის ეროვნული მექანიზმის მონიტორინგის მეთოდოლოგიას. საკითხის უკეთ გაცნობის მიზნით, სტუმრებმა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №8 დაწესებულება მოინახულეს. ისაუბრეს საპატიმრო დაწესებულებებში მცირეწლოვანთა უფლებრივ მდგომარეობაზე, ჯანდაცვის უფლების განხორციელებაზე; ბავშვისა და მშობლის კომუნიკაციის ინტენსივობასა და საშუალებებზე; გაეცნენ საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს და მათი შესრულების საკითხს. ასევე მოინახულეს ასოციაცია „შჭშ ბავშვთა სოფელი" და გაეცნენ იქ არსებულ პირობებს.

სახალხო დამცველის აპარატში გამართულ შეხვედრებზე უჩა ნანუაშვილმა ჩეხეთის რესპუბლიკის სახალხო დამცველის წარმომადგენლებს დეტალურად გააცნო აპარატის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები; ცალკეული სამსახურების მიღწევები, პრობლემები, გამოწვევები და სამომავლო გეგმები.

9.7. შეხვედრა პოლონეთის დელეგაციასთან

30 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილე პაატა ბელთაძე პოლონეთის რესპუბლიკის 14 კაციან დელეგაციას შეხვდა.

შეხვედრაზე მხარეებმა ერთმანეთს გამოცდილება გაუზიარეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ინპლემენტაციის, გარემოსა და ინფრასტრუქტურის ადაპტირების, დასაქმების, უფლებრივი საკითხების რეგულირებისა და სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვების საკითხებთან დაკავშირებით.

შეხვედრა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და პოლონეთის რესპუბლიკის შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტროს თანამშრომლობით „შშმ პირთა დახმარების სისტემის იურიდიული, ფინანსური და ადმინისტრაციული საფუძვლების შექმნა" პროექტის ფარგლებში გაიმართა.

9.8. ტრენინგი სტუდენტებისათვის

30-31 ოქტომბერი სახალხო დამცველის ზუგდიდის ოფისში, ტოლერანტობის თემაზე ჩატარდა ტრენინგი სამეგრელო-ზემო სვანეთის სტუდენტებისათვის.

ტრენინგს უძღვებოდნენ სახალხო დამცველის აპარატის მართლმსაჯულების დეპარტამენტის თანამშრომელი იზაბელა ოსიპოვა და ექსპერტი ზვიად ქორიძე. მათ სტუდენტებს გააცნეს ტოლერანტობის არსი და მნიშვნელობა, კრიტერიუმები, შეუწყნარებლობის გამოვლინებები, სტერეოტიპები, დისკრიმინაცია და ძალადობა.

ღონისძიება გაიმართა ბულგარეთის რესპუბლიკის მთავრობის დაფინანსებით განხორციელებული პროექტის ფარგლებში - „სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში სახალხო დამცველის ოფისის გაძლიერება".

10. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით

10.1. ვენეციის კომისიის რეკომენდაციები სასამართლო რეფორმის მესამე ეტაპის კანონპროექტებთან დაკავშირებით

10-11 ოქტომბერს ვენეციის კომისიამ მე-100 საიუბილეო სხდომაზე საქართველოში მიმდინარე სასამართლო რეფორმის მესამე ეტაპის ფარგლებში მომზადებულ კანონპროექტებთან დაკავშირებით სამი დასკვნა მიიღო. დასკვნები შეეხება ცვლილებებს საქართველოს სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში, ასევე, საქართველოს ორგანულ კანონში „საერთო სასამართლოების შესახებ" და საქართველოს კანონში „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ"[1].

ვენეციის კომისიის აზრით, წარმოდგენილი ცვლილებები სასამართლო სისტემის შიდა დამოუკიდებლობის და ეფექტურობის მხრივ, აუმჯობესებს არსებულ საკანონმდებლო რეგულაციებს. კერძოდ, კომისია მიესალმა საქართველოს ხელისუფლების მცდელობას უზრუნველყოს გამჭირვალობის მაღალი ხარისხი მოსამართლეთა შერჩევის პროცესში. ამასთან, კომისიამ დადებითად შეაფასა ნოვაციები, რომელებიც მოსამართლეების მიერ სასამართლოს თავმჯდომარეების არჩევას და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობის გაზრდას ითვალისწინებს. კომისიამ მოიწონა ცვლილებები მოსამართლეთა სხვა სასამართლოებში მივლინების სამართლებრივი წესების დადგენის კუთხითაც. გარდა ამისა, ვენეციის კომისიამ მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისათვის წინგადადგმულ ნაბიჯად მიიჩნია მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების უფლებამოსილების ჩამორთმევა სასამართლოთა თავმჯდომარეებისათვის და ამგვარი უფლებამოსილების მხოლოდ იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის მინიჭება.

თუმცა, კომისიის რეკომენდაციით, აუცილებელია მკაფიოდ იყოს გაწერილი მოსამართლეთა დანიშვნისა და დაწინაურების კრიტერიუმები. კომისიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოსამართლეთა სამწლიანი გამოსაცდელი ვადა ამოღებული უნდა იქნას, როგორც კანონპროექტიდან, ასევე კონსტიტუციიდან. კომისიის მოსაზრებით, სასამართლოს თავმჯდომარეებმა უნდა შეინარჩუნონ თავიანთი მანდატები მათი ვადის ამოწურვამდე და შესაბამისად, კანონპროექტიდან ამოღებული უნდა იქნას მუხლი, რომლის მიხედვითაც, სასამართლოს მოქმედ თავმჯდომარეებს უფლებამოსილება კანონის ძალაში შესვლისთანავე უწყდებათ.

ვენეციის კომისიამ დადებითად შეაფასა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის კრიტერიუმების გაფართოება, რომლის მიხედვითაც, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დასაშვებად უნდა ცნოს საჩივარი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, თუ იგი წინააღმდეგობაშია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებასთან.

ვენეციის კომისიამ საქართველოს ხელისუფლებას მისცა სხვა დამატებითი შენიშვნები წარმოდგენილი კანონპროექტის ცალკეულ ნორმათა გაუმჯობესების მიზნით.

10.2. სტრასბურგის სასამართლომ იეჰოვას მოწმეთა საქმეზე საქართველოს სახელმწიფოს პასუხისმგებლობა დაადგინა

2014 წლის 7 ოქტომბერს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „ბეღელური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ[2] ერთხმად დაადგინა სახელმწიფოს მიერ ევროპული კონვენციის მე-3 (წამების აკრძალვა) და მე-9 (რელიგიის თავისუფლება) მუხლების დარღვევა, ცალკე და მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) მუხლთან მიმართებაში, მთლიანობაში 88 განმცხადებლის მიმართ. საქმე 2000-2001 წლებში იეჰოვას მოწმეების ფართომაშტაბიან დევნას ეხება. სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფომ შექმნა დაუსჯელობის კლიმატი, რამაც ქვეყნის მასშტაბით წაახალისა იეჰოვას მოწმეების წინააღმდეგ თავდასხმები.

თორმეტი წლის წინ ევროპულ სასამართლოს იეჰოვას 99 მოწმემ სარჩელით მიმართა. საქმეში 2000-2001 წლებში იეჰოვას მოწმეების დევნის, მათ წინააღმდეგ გამოჩენილი ფიზიკური ძალადობისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის 30-მდე ეპიზოდია შესული, რომელთა ძირითადი ნაწილი ბასილ მკალავიშვილის ექსტრემისტულმა ჯგუფმა განახორციელა. მომხდარ ფაქტებთან დაკავშირებით, იეჰოვას მოწმეებმა დაახლოებით 160-მდე საჩივარი შეიტანეს ქვეყნის საგამოძიებო ორგანოებში. ისინი ამტკიცებდნენ, რომ მათ წინააღმდეგ ჩადენილი თავდასხმები განხორციელდა პოლიციის და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლების უშუალო მონაწილეობით ან მათი ხელშეწყობით. აღნიშნულ საჩივრებს რაიმე შედეგი არ მოჰყოლია. სამ შემთხვევაში განმცხადებლებმა უზენაეს სასამართლოს მიმართეს, თუმცა მათი საჩივრები არ დაკმაყოფილდა.

1 http://www.venice.coe.int/WebForms/documents/by_opinion.aspx

2 http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-146769#{"itemid":["001-146769"]}

მოცემულ საქმეზე სასამართლომ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა 32 განმცხადებლის შემთხვევაში დაადგინა. სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებლებზე თავდასხმები რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ხდებოდა, რითაც იეჰოვას მოწმეებს მნიშვნელოვანი ფიზიკური, ემოციური და ფსიქოლოგიური ზიანი მიადგათ. ევროპული სასამართლოს შეფასებით, პოლიციამ არამხოლოდ ვერ შეასრულა პრევენციის ფუნქცია და აშკარა უმოქმედობა გამოავლინა, არამედ ის პირდაპირ იყო ჩართული ძალადობრივი ფაქტების დაგეგმვასა და განხორციელებაში. საქმეში სასამართლომ დეტალურად შეაფასა გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებული ხარვეზები, როგორიცაა საჩივრის რეაგირების გარეშე დატოვება, დაზარალებულის სტატუსის მინიჭების პრობლემა და გამოძიების ვადების გაჭიანურება. სასამართლოს აზრით, სახელმწიფომ არ შეისწავლა ძალადობრივი დანაშაულებების შესაძლო დისკრიმინაციული მოტივები. აღნიშნული გარემოებები მნიშვნელოვანი არგუმენტი აღმოჩნდა სასამართლოსთვის ხელისუფლების მიერ იეჰოვას მოწმეთა მიმართ ძალადობის საქმეებზე არაადეკვატური და არაეფექტური გამოძიების პრაქტიკის და კონვენციით განსაზღვრული ვალდებულების სისტემური შეუსრულებლობის დასადგენად.

ამავე დროს, საქმეში არსებული ინციდენტები სასამართლომ განიხილა, როგორც იეჰოვას მოწმეების რელიგიის თავისუფლებაში ჩარევა. სასამართლომ აღნიშნა, რომ ძალადობრივი ქმედებები მოტივირებული იყო იეჰოვას მოწმეების მიმართ შეუწყნარებელი დამოკიდებულებით. ამასთან, სასამართლომ მიიჩნია, რომ პასუხისმგებელმა უწყებებმა ვერ შეასრულეს საკუთარი ფუნქცია, მიეღოთ საჭირო ზომები იეჰოვას მოწმეების რელიგიის თავისუფლების უზრუნველსაყოფად.

სასამართლოს გადაწყვეტილებით საქართველოს მთავრობას, თითოეული განმცხადებლისთვის, რომელთა მიმართაც კონვენციის დარღვევა დადგინდა, 350 ევროს გადახდა დაეკისრა. ასევე, სახელმწიფომ გაწეული ხარჯების სანაცვლოდ განმცხადებლებს ჯამში 15 ათასი ევრო უნდა გადაუხადოს.

11. ღირსშესანიშნავი თარიღები

11.1. ოქტომბერი ხანდაზმულთა საერთაშორისო დღეა

სახალხო დამცველი პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში საქართველოს პენსიონერთა კავშირის წარმომადგენლებს შეხვდა და პირადად მიულოცა დღესასწაული. ასევე, პირადად მოისმინა მათი პრობლემების შესახებ.

შეხვედრის დამსწრე პენსიონერებმა გულისტკივილი გამოთქვეს არასახარბიელო სოციალური დახმარებების, საპენსიო სესხების მაღალი საპროცენტო განაკვეთის, მთელი რიგი ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების (მედიკამენტები, შინ მოვლა, დღის ცენტრი, სათემო სერვისები) ხელმიუწვდომლობისა და სხვა პრობლემების გამო. ისაუბრეს ხანდაზმულთა თავშესაფრების სიმცირეზეც, სადაც მოხვედრა სწორედ ამის გამო გართულებულია.

სახალხო დამცველმა პენსიონერთა პრობლემების გადაჭრის საქმეში სახელმწიფოს მხრიდან ერთიანი მიდგომისა და საზოგადოების ჩართულობის აუცილებლობას გაუსვა ხაზი. თავად უჩა ნანუაშვილს მიაჩნია, რომ მართებული იქნებოდა პენსიის დანიშვნა ნამსახურობისა და სტაჟის მიხედვით.

11.2. სახალხო დამცველმა მუსლიმებს ყურბან ბაირამის დღესასწაული მიულოცა

4 ოქტომბერს ყურბან-ბაირამის დღესასწაული დაიწყო. სახალხო დამცველმა ტრადიციისამებრ მიულოცა მუსლიმ მოქალაქეებს ყურბან-ბაირამის დადგომა, უსურვა მათ ბედნიერება, მშვიდობა და სიხარული. ამასთან ერთად, დაპირდა თანადგომას იმ გამოწვევების დაძლევის საქმეშიც, რასაც საქართველოში მცხოვრები ჩვენი მუსლიმი დები და ძმები აწყდებიან.

ისლამური სამყარო ადამიანის სიცოცხლის, მისი ხელშეუვალობისა და უმაღლესი პატივის რელიგიურ აღიარებას აღნიშნავს, რადგან ამ დიდი დღესასწაულის არსი ადამიანის მსხვერპლად შეწირვის აკრძალვასთან არის დაკავშირებული. ამასთანავე, ყურბან-ბაირამი ქველმოქმედების იდეისა და მისი განსაკუთრებული მნიშვნელობის ზეიმიცაა. ჭეშმარიტი ღვთისმოსავი არის ის, ვინც მზადაა დახმარების ხელი გაუწოდოს, საკუთარი საზრდო-საბადებელი, რელიგიური კუთვნილების განურჩველად, უწილადოს მას, ვისაც ეს ესაჭიროება.

11.3. სახალხო დამცველმა იუდაიზმის მიმდევრებს იომ კიფურის დღესასწაული მიულოცა

4 ოქტომბერს სახალხო დამცველმა იუდაიზმის მიმდევრებს დიდი პატივისცემით მიულოცა იუდაური სადღესასწაულო კალენდრით უდიდესი დღე, იომ კიფური და სიხარული და ბედნიერება უსურვა მათ.

იომ კიფურის დღეს მორწმუნე ადამიანი თავისი ცხოვრების გზით წარსდგება უზენაესის წინაშე და მთელ დროს უძღვნის იმის გააზრებას, თუ როგორი იყო მისი ცხოვრება, რა შეცდომები დაუშვა განვლილ წელს. ეს არის ფიქრის, განსჯისა და სიბრძნის დღესასწაული.

11.4. 10 ოქტომბერი – ფსიქიკური ჯანმრთელობის მსოფლიო დღე

საქართველოს სახალხო დამცველმა მოუწოდა ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანებს იცხოვრონ დამოუკიდებელი ცხოვრებით, მოითხოვონ საკუთარი უფლებების დაცვა, ჩაერთონ ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პროგრამების შესრულების პროცესში.

ფსიქიკური ჯანმრთელობის მსოფლიო დღე წელს ეძღვნება შიზოფრენიას სლოგანით „ცხოვრება შიზოფრენიასთან ერთად". ამ დღის უმნიშვნელოვანესი მიზანი შიზოფრენიის საკითხებზე ყურადღების გამახვილება, ცნობიერების ამაღლება, არსებული სტიგმისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ მიმართული კამპანიაა.

9 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველმა ფსიქიკური ჯანმრთელობის კოალიციასთან ერთად კონფერენცია გამართა, რომელზეც ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა წინაშე არსებული პრობლემები და გამოწვევები განიხილა. კონფერენციას ესწრებოდნენ საერთაშორისო ორგანიზაციების, სამთავრობო სტრუქტურების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები; ასევე, ბენეფიციარები.

ღონისძიებაზე სახალხო დამცველის მოადგილემ პაატა ბელთაძემ ისაუბრა გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის რატიფიცირების შედეგად სახელმწიფოს მიერ ნაკისრ ვალდებულებებზე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანასწორი, სრულფასოვანი და ეფექტური მონაწილეობის აუცილებლობაზე. პაატა ბელთაძემ ყურადღება გაამახვილა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, რომლის მიხედვითაც, შეიცვალა დამოკიდებულება ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა მიმართ და მათ სამოქალაქო უფლება-მოვალეობების დამოუკიდებლად განხორციელების მეტი შესაძლებლობა მიეცათ.

12. სახალხო დამცველის აპარატის ამბები

12.1. 3.1. სახალხო დამცველის აპარატი სოლიდარობის ფონდის დონაციაში ჩაერთო

სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები მიესალმებიან ამ საჭირო და მნიშვნელოვან წამოწყებას, რომელიც ძირითადად მძიმე დაავადებების მქონე ბავშვების მკურნალობის დაფინანსებას უზრუნველყოფს და იმედოვნებენ, რომ ფონდის დახმარებით გარკვეულ წვლილს შეიტანენ დაფინანსების მიღმა დარჩენილი სოციალური პრობლემების გადაჭრის საქმეში.

12.2. პრევენციის ეროვნული მექანიზმი აძლიერებს პრევენციულ ვიზიტებს თავისუფლების აღკვეთის/შეზღუდვის ადგილებში

1 ოქტომბრიდან სახალხო დამცველის აპარატში, თავისუფლების აღკვეთის/შეზღუდვის ადგილებიდან შემოსულ ინდივიდუალურ განცხადებებზე/საჩივრებზე საქმის წარმოებას სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის ნაცვლად მართლმსაჯულების დეპარტამენტი ახორციელებს. განხორციელებული ცვლილების შედეგად პრევენციის ეროვნულ მექანიზმს პრევენციული ვიზიტების ეფექტიანად განხორციელებისა და პრობლემატური საკითხების სიღრმისეული შესწავლისათვის მეტი დრო და რესურსი ექნება.

12.3. კონკურსი „მე – ომბუდსმენი 2014" დაიწყო!

6 ოქტომბერს კონკურსი „მე - ომბუდსმენი" უკვე მეხუთედ დაიწყო. კონკურსი ტარდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერითა და ევროკავშირის პროექტის „სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა" დაფინანსებით.

კონკურსი უნიკალურ შანსს აძლევს 13-დან 18 წლამდე ასაკის სკოლის მოსწავლეებს გაეცნონ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საფუძვლებს და სახალხო დამცველის, როგორც დემოკრატიული ინსტიტუტის საქმიანობას.

ადამიანის უფლებების დაცვის მაღალი კულტურა სრულფასოვანი დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობისთვის ერთ-ერთ ძირითად წინაპირობას წარმოადგენს. სახალხო დამცველის აპარატის მიერ ორგანიზებული კონკურსი ამ კულტურის გავრცელების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

12.4. კონკურსი „ჟურნალისტები ქალთა უფლებებისთვის"

23 ოქტომბრიდან საქართველოს სახალხო დამცველმა ევროკავშირის პროექტის „სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა" მხარდაჭერით გამოაცხადა კონკურსი - „ჟურნალისტები ქალთა უფლებებისთვის."

კონკურსის მიზნებია:

- ქართულ მედიაში გენდერული თანასწორობის პრინციპების დამკვიდრება;
- გენდერული პრობლემების გასაშუქებლად ჟურნალისტთა წახალისება;
- გენდერულ საკითხებზე სიუჟეტის მომზადებისას/წერისას ეთიკური სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა ჟურნალისტებმა უნდა წარმოადგინონ 2014 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 1 დეკემბრამდე საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ პერიოდულ მედიაში გამოქვეყნებული სტატია ან ტელე და რადიო მაუწყებლის ეთერში გასული სიუჟეტი.

პუბლიკაცია ან ტელე-რადიო სიუჟეტი საზოგადოებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის წახალისებას, გენდერული სტერეოტიპების დაძლევას და ქალთა უფლებების პატივისცემას უნდა უწყობდეს ხელს.

12.5. მომართვიანობის სტატისტიკა

ოქტომბრის თვეში სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა 822 განცხადება.

დასაშვებობის გავლის შემდეგ 749 განცხადება სამსახურების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტი - 47
- მართლმსაჯულების დეპარტამენტი - 395
- რეგიონული სამმართველო - 159
- ბავშვთა ცენტრი - 63
- გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი - 41
- შშმ პირთა ცენტრი - 37
- ანალიტიკური დეპარტამენტი-7



13. კონტაქტი

თბილისი:
ნინო რამიშვილის 6. თბილისი 0179
ტელ.: +99532 2234499 / 2913814 / 2913815 / 2913841 / 2913842 / 2913843 / 2913875 / 2913876 / 2913877
ფაქსი: +99532 913841
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

ბათუმი:
მაზნიაშვილის ქ. 9
მობ.: 577 50 52 31
ტელ.: 0422 27 05 44

ზუგდიდი:
კოსტავას 58
მობ.: 577 50 52 34
ტელ.: 0415 22 36 11

ახალქალაქი:
ჭავჭავაძის ქ. 4
მობ.: 577 12 27 70 ;
577 12 27 71
ტელ.: 0362 22 32 83

თელავი:
ჩოლოყაშვილის ქ.36
მობ.: 577 048267
ტელ.: 0350 27 99 27

ქუთაისი:
რუსთაველის ქ. 18
მობ.: 577 55 33 81
ტელ.: 0431 25 33 50

გორი:
სამების ქ. N1
მობ.: 577 78 27 42
ტელ.: 0370 27 05 49

მარნეული:
რუსთაველის ქ. 51
ტელ.: 0357 22 19 70

რედაქტორი: თეონა გოგოლაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
თამარ ხიდაშელი,
თეა ბაციკაძე